



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №219

2016 წლის 20 დეკემბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე „გლდანის ყოფილი მიწებიდან, მე-3 ტაქსების მუშა-მოსამსახურეებისათვის მეზაღეობის მოსაწყობად გამოყოფილი დასახლებისათვის სოფლის სტატუსისა და ისტორიული სახელწოდების „ნადიკვრები“-ს მინიჭების შესახებ“ წინადადების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №307 დადგენილების მე-5 მუხლისა და მე-3 ტაქსების მეზაღეობის მესაკუთრეთა 2016 წლის 30 აგვისტოს №403 წერილის საფუძველზე,

1. მოწონებულ იქნას წინადადება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე „გლდანის ყოფილი მიწებიდან, მე-3 ტაქსების მუშა-მოსამსახურეებისათვის მეზაღეობის მოსაწყობად გამოყოფილი დასახლებისათვის სოფლის სტატუსისა და ისტორიული სახელწოდების „ნადიკვრები“-ს მინიჭების შესახებ.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს:
 - 2.1 გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი